სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3 —	— 2
სამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОИ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 2. შაბათი. III. 31 იანვარს 1870 წ.

შინაარსი:

— შინაური ცნობები:—თფილისის და რაჭის ამბავი.—ორიოდე სიტყვა ქალების სამოხელო შკოლაზე.—დილმის სახალხო შკოლა.—იმერეთის ავათმყოფობანი.—სამეცნიერო ნაწილი:—მიწის ისტორია ანუ გეოლოგია.—სამეურნეო ნაწილი.—ტყის გაშენებაზე.—ბამბის კეთების გამავრცელებელი ღონის-ძიება კავკასიაში.—მთავრობის განკარგულებანი და განცხადებანი.

შინაური ცნობები.

ეს მეხუთე დღეა, რაც თფილისში თოვლი მოვიდა; როგორც ეტყობა წელს ზამთარს ძალიან დააგვიანდა: ის იწყება თებერვლიდგან; ეს კაი ნიშანი არ არის: ვაი თუ იანვრის დარებმა გაზაფხული წაგვიხდინოს.

რაც უნდა იყოს თოვლის მოსვლამ მაინც ცოტათ გაგვამხიარულა, იანვრის უჩვეულო ხმელმა და ცივმა დღეებმა თავი მოგვაბეზრა; ავათ-მყოფობაც გაძლიერდა.

*
* *

რაჭის ამბავი. რაჭაში ძლიერ სიმშრალეა, წვიმაც იშვიათად არის. ამან მეტად დაალონა ხალხი, რადგან ისინი როგორც ახლა ხედვენ სიძვირეს, აგრეთვე მომავალ დროებისათვისაც მოელიან ჭირნახულის ნაკლებობას, რადგან ნათესები ჰხდება გვალვისა და ქარისაგან. ტყეებს ხშირად ცეცხლი უჩნდება და იწვის, რომლის ალი ანათებს სოფლებს და კომლით ისეთი ბურუსია მთელს რაჭაში გამდგარი, რომ ერთი სოფლიდგან, მეორე აღარ მოსჩანს. დღისით მზეს და ღამით მთვარის სინათლეს ძლიერ უშლის: ამ გვარი საშინელი ცეცხლი სადმელის სასოფლო და ზოსტანას სახელმწიფო ტყეებში გაჩენილი მამასახლისებმა დააქრობინეს საზოგადოებას; სხვა სოფლებში რა ზომა მოიხმარეს ცეცხლის დაქრობისათვის, იმისი არა ვიცით რა ჯერ.

*
* *

მდინარეებმა ძლიერ იკლეს, ტბები, ღელეები და წყაროები თითქმის დაშრენ; ამისათვის ზოგიერთს სოფლებში ისე გაძვირდენ წისქვილები, რომ დასაფქვავათ ათ ვერსტზე მიდიან; ავათმყოფობა და სიკვდილი გახშირდა. ღმერთმა იცის, როგორი გაზაფხული გვექნება. იმერეთშიაც ამ გვარი ამიდებიაო, მაგრამ დაწვრილებით არაფერი ვიცით რა.

ა. შ.

ორიოდე სიტყვა

ქალების სამოხელო შკოლაზე, რომელიც გაიმართა თფილისში დ. თუმანოვის ასულის თაოსნობით.

რაც დრო მიდის, ისე უფრო და უფრო ჭირდება ცხოვრება. ყველას ერთი საჩივარი გვ ქვს: „გაჭირდა პურის ჭამა".—რასთვის?—მიწა-წყალს არა მოჰკლებია რა, ბუნების სიმდიდრე უწინდელსავით ბევრია, მაშ რა მიზეზია, რომ არც დღე და არც ღამე ლუკმა არ გვეკიდება თვალზე ხელმოკლეობისაგან?—ვფიქრობთ, ვფიქრობთ და ვერა მოგვიხერხებია რა. მართალია მიწა წყალს არა მოკლებია რა, მაგრამ უხეირო მჭამელები მოვემატეთ; ნამდვილი მკეთებლები კი იმდენი არ მოვმატებივართ. რაც უწინ გვყოფნიდა, ათი იმდენი აღარ გვყოფნის. ხარჯვისა და ქეიფის მადა თან-დათან გვემატება, თორემ არ გვაკლდება; დღითი დღე უფრო დიდის სურვილით ვეწვდენთ ხელს იმ ოქროს თილისმას, რომელსაც ჰქვია ფული. ის, ბედითი კვერცხისა არ იყოს, რამდენათაც იმისკენ მივიწევით, იმდენათ უფრო და უფრო შორს მიგორავს. თურმე ის წყეული თილისმა მუშაობისა და ხელობის შვილი ყოფილა; ჩვენ კი არც მუშაობას და არც ხელობას არ ვეწყობით და ამისთვის ის ოხერი ფულიც გვემალება, ვით ტყეში მხეცი!....

*
* *

მიწამაც ძალიან გული გაიგრილა ჩვენზე. უწინ რომ კოდზე ათსა და თხუთმეტ კოდს ნამუშევარს გვაძლევდა, ახლა ხუთი ექვსი კოდი თუ მოგვცა დიდ მოწყალებათ მივითვლით.—გეყოფათ ამდენი ნანაობაო,—გვეუბნება ჩვენი მიწა-წყალი.—როდისმე ისწავლეთ ჩემი რიგიანათ მოვლა-ცაო. ამდენი ხანია გარჩენთ, აწ მაინც იმდენი ცოდნა შეიძინეთ, რომ იცოდეთ ჩემი პატივი, იცოდეთ რიგიანათ დახვნა-დათოხნა, რომ არც მე მალარიბებდეთ მუდამ ჭირნახულის გ-ტანით და თქვენ თავსაც კარგი მოსავლით ასარგებლებდეთო. ისწავლეთ ჭირნახულის კარგათ მოხმარება; შეხედეთ, როგორი თადარიგით და ცოდნით ექცევიან განათლებულს ქვეყნებში თავის გამზრდელს დედამიწას, თქვენც იფიქრეთ სწავლის შეძენაზე და ისე ეძიებდეთ სარჩოს ჩემ გულშიო.—

*
* *

უცხო ქვეყნის კაცები რომ მოდიან და ხედვენ ჩვენი ქვეყნის ხელუხლებს სიმდიდრესა, თვალი ლია რჩებათ: „ღმერთო ეს რა მდიდარი მხარეა და როგორ უპატრონოთ არის გაშვებული, არავინ კი არ სარგებლობს ამ სიმდიდრითაო: რა ღმერთი გასწყრომია ამ ქვეყნის ხალხს, რომ ოქროშია ჩასმული და თვითონ კი შიმშილით არაქათი წართმევიაო". ბუნებმა სთქვა" მე მისი ვარ, ვინც მომიხმარსო".

აბა, ჩვენ რა მოხმარება შეგვიძლიან! რომ ვინმე დაგვაქადოს, ათასში ერთი ჩვენგანი ურმის ტაბიკსაც ხეირიანათ ვერ გააკეთებს.

* * *

სოფელი რომ დაიარო იმისთანა კაცს ვერ ჰნახავ, ერთი რამე ხელობა რიგიანათ იცოდეს, ქალს ვერ ჰნახავ, რომ ან რიგიანი რეცხა იცოდეს, ან ჭრა და კერვა. აბა, რა სიცოცხლეა იმ ხალხის სიცოცხლე, საცა კაცს რომ დასჭირდეს ცხენის ნალს ვერ გასჭედს და ქალი სამოსელს ვერ მოქსოვს!...

* * *

ჩვენი სილარიბის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია ამისთანა ცუდაობა, უხეირო ცხოვრება ხელობის უცოდინარობა. ათასი ორმო რომ ხორბლით ჰქონდეს კაცს სავსე, იმისი დაფქვა და გამოცხობა, თუ არ იცის შიმშილით მოკვდება. ყოვლის ფერი ასეა. ხალხში თუ ყოველნაირი მოხელობის ცოდნა არ არის, ის სილარიბისგან ფეხს ვერ გამოდგამს. ამისთვის სულ მუდამ ამას უნდა ვფიქრობდეთ, რომ როგორმე სწავლა-ხელობა გავავრცელოთ ხალხში. ამ ჟამად მაინც ყველა ძალიან ჰგრძნობს ამ სწავლა-ხელობის საჭიროებას, და ვინც კი დაიწყებს ცდას ამისთანა საქმის, შემოღებაში, სწორეთ ხალხის სამადლო საქმეს შვრება და ყოველი გონიერი კაცის თანაგრძნობაც კვალშიმიჰყვება იმას....

* * *

ამ სიტყვებზე არ შეგვიძლია სიამოვნებით არ მოვიხსენოთ სამოხელო ქალების შკოლა, რომელიც ეს სამი ოთხი თვე გახსნილია თფილისში ღარიბი დედმამის ქალების გასაზრდელათ სხვა-და-სხვა ხელობაში.

* * *

ამ შკოლის გახსნა თავს იდვა გ. თუმანოვის ასულმა.

ეს შკოლა იმყოფება თვითონ ამ ქალის დედმამის სახლებში მტკვრის პირზე ქუკიაში. როდესაც შევედით შკოლაში თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ახალგაზდა ქალები იყვნენ ხელ-საქნარში გართულნი. ზოგნი იმათგანნი ისხდენ ერთ გძელ სტოლთან, რომელზედაც ეწყოთ საქსოვი აველჯულობა, ქსოვდენ გრეხილებს, ზონრებს სხვა-და-სხვა გვარს და აგრეთვე კერავდენ საცვალ ტანისამოსს. ერთ კუთხეში იდგა საკერავი მაშინა, რომელსაც მარდათ ამუშავებდა თორმეტის წლის ქალი, იქვე იდგა ოსტატი ქალი და თვალს ადევნებდა, ვინიცობაა, რომ შესცდეს, გაუსწოროვო. მეორე კუთხეში იდგა დიდი სტოლი, რომელზედაც ეწყო ქაღალდები და წიგნების ასაკინძავი დაზგა. აქ წიგნის შემკვრელი აკეთებდა ქაღალდის უჯრებს და ყმაწვილები დაკვირვებით თვალს ადევნებდენ იმის მუშაობას.

* * *

ახლა შევიდეთ მეორე ოთახში. აქ ერთ მხარეზე დგას ანგარიშის სასწავლებელი რიკები, რომელზედაც ყმაწვილები ანგარიშსა სწავლობენ, აქვე არის გეომეტრიული ფიგურები, კედელზე ჩამოკიდებულია ნახატები სხვა-და-სხვა ცხოველებისა, ხეებისა და ბალახეულობისა, რომლის შემწეობით სწავლობენ ბუნების მეცნიერებას. აქ საჭიროა დავბეჭდოთ ზოგიერთი მუხლები სამოსწავლო რიგისა, რომლის მიხედვითაც ასწავლიან მოწაფეებს.

* * *

ქალების სამოხელო შკოლების რიგი (უსტავი). ქალების სამოხელო შკოლა იმ აზრით არის გამართული, რომ ღარიბ მოქალაქეებმა მიიღონ პირველ დაწყებითი განათლება, მაგრამ განსაკუთრებით ქალებმა უნდა ისწავლონ აქ ისეთი ხელობა, რომლითაც შეეძლოთ იმათ თავის დარჩენა.

ყოველი ახალგაზდა ქალი შეასრულებს სწავლას ოთხი წლის განმავლობაში.

ათიწლისაზე უფრო პატარას არ მიიღებენ.

ასწავლიან: სამღრთო წერილს, რუსულს წერა-კითხვას და აგრეთვე ქართველ ქალებსაც ქართულ წერა-კითხვასა.

არითმეტიკა (ანგარიში), მატემატიკური და ფიზიკური გეოგრაფია და მოკლეთ რუსეთის აღწერა; პირველ დაწყებითი სწავლა ბუნებითი მეცნიერებისა; სამშობლო ისტორია; ხატვა და სუფთათ წერა.

* * *

ასწავლიან შემდეგ ხელობას: ქალების ტანთსაცმელის ჭრა-და-კერვას, საცვალი ტანსაცმლის ჭრა-და-კერვას, ბაშმაკების და ხელთათმანების კერვას, წიგნების კვრას და უჯრების კეთებას.

სწავლების ფასი დიდი არ არის და დედმამებთან მორიგებაზე ჰკიდია.

სწავლა — შესრულებულებს მიეცემათ მოწმობა, როგორ შეუსრულებიათ სწავლა ან როგორ იციან ხელობა.

შკოლის ღონისძიების მოსამატებლათ მიიღებენ ქირით ყოველგვარ სამუშაოს იმ ხელობაზე, რასაც შკოლაში ასწავლიან. აქედგან შემოსული ფული თვითონ შკოლას მოხმარდება.

თუ ვინიცობაა შკოლის გამგემ რაიმე შემთხვევით თავი დაანება ამ შკოლას, მაშინ იმის მაგიერათ სხვას მიენდობა გამგეობა.

შკოლაში დაწესებულია, რომ ხუთი მოწაფე უფასოთ უნდა იზრდებოდეს.

შკოლის სამყოფი სახლები ძალიან მოხერხებულია, იმას უჭირავს ორი სრული და ნათელი ოთახი: ერთია სამოხელო, მეორეა სასწავლებელი.

* * *

ვისაც ჩვენი ქართლ-კახეთი დაუვლია, ის ცხადათ წარმოიდგენს, რა სამწუხარო მდგომარეობაშია სოფლელი ახალგაზდობა. ძვირათ მოიპოვება იმისთანა სოფელი, რომ ან ქალმა, ან კაცმა რიგიანათ იცოდეს წერა-კითხვა, განსაკუთრებით გლეხობაში. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ხალხში ძველიდგანვე არის დარჩენილი სწავლის სურვილი; მომეტებულათ ქალები იყვნენ ძალიან მონდომებულნი წერა-კითხვაზე; მაგრამ რათ გინდა! კარგი ნასწავლი ქალების და კაცების უმყოფობით ეს სურვილი თანდათან ჰქრება. თუ სადმე იმისთანა ოჯახობა, საცა წერა-კითხვის სწავლების სურვილი აქვთ, იქაც საქმე მხოლოდ ამით თავდება, დააწყებინებენ ცუდი ხელით დაჩხაბნილს ანა-ბანას და ამ ანბანის უაზრო გაზეპირებით არამც თუ დაასწავლიან, თვითონ სწავლის ხალისსაც უკლავენ ახალგაზდას; ამას გარდა ძნელათ იპოვით სოფლათ იმისთანა ქალს, რომელმაც რიგიანი ჭრა და კერვა იცოდეს. სულ ესეები რომ მოვიგონოთ, მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდებით, რამდენათ საჭიროა ჩვენი სოფლის მცხოვრებლებისთვის იმისთანა სასწავლებლები, საცა ახალგაზდა ქალს გათხოვებამდის შეეძლოს კარგი წერა-კითხვა და ხელ-საქნარის სწავლა.

* * *

რასაკვირველია აზრათაც არ მოგვივა ახლანდელს მდგომარეობაში ზემოხსენებული შკოლის გამართვა, რადგან ვერც ნასწავლს ქალს ვიშოვით, რომ სოფლათ ამ განზრახვით წავიდეს და კიდევაც რომ მოიძებნოს და წავიდეს შკოლის გასამართავათ, ჩვენი სოფლელების თავშეუძლებლობის გამო ამისთანა კეთილმოქმედს ქალს არცკი მიხედვენ შკოლის

გამართვაში; ის კი არა შეილსაც არავინ მოგერის სასწავლებლათ.

***

ამისთანა მდგომარეობაში მიეაქცევ სოფლელი მოთავე კაცების ყურადღებას ბ. თუმანოვის ასულის საქალებო შკოლაზე. სოფლის მამასახლისები და სუდიები არიან ამორჩეულნი მთელი სოფლისაგან საერო საქმეების გასარჩევათ და სოფლის საჭიროების საზრუნველათ. მაშ იმათი წმინდა მოვალეობაა ამ საქმეზე კარგათ მოიფიქრონ. ყოველი მამასახლისი, ყოველი სოფლის მოსამართლე (სუდია) დამერწმუნება ამაში, რომ ჩვენი სოფლებისთვის ძალიან საჭიროა იმისთანა ქალები, რომლებმაც იცოდნენ კარგათ რუსული და ქართული წიგნი, ანგარიში. ამასთანავე კარგი ჭრა-და-კერვა, კარგი რეცხა და მრავალი სხვა ქალის შესაფერისი ხელობა. ამისთანა ნასწავლი ქალი თვითონ სოფლის სასამართლოსაც ძალიან გამოადგება. ახლა რომ სასამართლოში მწერლებს იჭერენ ქირით, მაშინ იმათ მაგიერათ თავის სოფლის ქალები იქნებოდენ მწერლათ, უფრო ცოტა ფასსაც აიღებდენ და უფრო სასარგებლოც იქნებოდნენ ახლანდელ მწერლებზე. ამიტომ რომ შინი წრის კაცი უფრო მომჭირნე იქნება შენ საქმეზე, ვინამც ეინგინდარა სხვა წრის კაცი.

***

ამის შემდეგ მოვიქცევი თქვენთან სოფლის მოხელენო მამასახლისნო და მოსამართლენო ამნაირი რჩევით: თფილისის საქალებო შკოლა როგორც თფილისის ღარბი მოქალაქის ქალებისთვის, ისე თქვენი ქალებისთვისაც კარგაღებულია. ისე ნუ გაუშვებთ ამ შკოლას, რომ თქვენთვისაც სასარგელო არ ყოს. თითო უზდიდგან რომ ორი ახალგაზდა ქალი ამოარჩიოთ და გამოგზავნოთ თფილისს ამ შკოლაში გასაზდელათ, ამაზე უკეთესი საქმე აღარა იქნებარა. იმათი ხარჯი მთელი უეზდისათვის სრულებით არასფერს არ შეადგენს; წელიწადში მოსახლემ რომ ამათთვის ორი კაპეიკი შესწიროს, მეტი არ შეხვდებათ. მაგრამ თვითონ იმ ქალის დედამამას ამისთანა პირობა უნდა დაადებინონ: როდესაც სწავლას შეასრულებს, მაშინვე ეს ქალი წამოვიდეს სოფელში და ოთხი წლის განმავლობაში იმ ქალმა თავის სოფელში შკოლა გამართოს, თითო სოფლიდან თითო ქალი აიყვანოს და ასწავლოს ყველაფერი, რაც თვითონ უსწავლია თფილისის საქალებო შკოლაში, იმ პირობით, რომ სწავლის შემდეგ იმათაც თავთავის სოფლებში ქალები გამოზარონ.

***

ამ სახით რაც ამ ორი ქალის გამოზდაში დახარჯვია მთელს უეზდს, ათი—თხუთმეტი წლის განმავლობაში ათას იმდენს სარგებლობას მისცემს მთელს უეზდს, იმითი რომ გამრავლდებიან კარგი ნასწავლი და მოხელე ქალები, რომელნიც თავის თავსაც დაირჩენენ და ოჯახაც ერთი ორათ წინ წასწევენ.

***

ამის წაკითხვის შემდეგ იქნება მამასახლისებმა ამ ნაირათ დაიწყონ ლაპარაკი: „მე კარგი საქმეა, მაგრამ როგორ მოვახერხოთ, თფილიშსი ჩვენ არავისთან მიგვესლება, არც არავის ვიცნობთო. ეს მივმართოთ, რომ ან საქალებო შკოლასთან მიგვასწავლოს, ან გვიჩვენოს იმისთანა სახლობა, საცა ჩვენი ქალების დაბინავება შეგვეძლოსო. ამის პასუხს მე მოგახსენებთ:—რაკი მამასახლისები მოინდომებენ ერთი ან ორი ქალის გამოგზავნას მთელი უეზდიდგან თფილისში სოფლების ხარჯზე გასაზდელათ, მაშინვე განუცხადონ უეზდის ნაჩალნიკებს, რომ იმათ გვაცნობონ „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში და ჩვენ ვიკისრებთ ყველაფერს. ოჯახობასაც მოესძებნით ქალების დასაბინავებლათ და შკოლაში შეყვანაზედაც დავეხმარებით.

***

ოღონდ მამასახლისებმა გადასწყვეტონ თითო უეზდიდგან ოროლი ქალის გამოგზავნა და გადასჭრან იმათი სარჩოს ძლევა, თორემ სხვა ყველაფერი ადვილათ მოხერხდება.

მამასახლისნო და სოფლის მოსამართლენო! ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ კეთილ-განზრახვის ასრულებაში. ბ. წერეთელი.

დიღომის სახალხო შკოლა.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენშიაც ჩნდებიან იმისთანა მოძღვრები, რომელნიც ქრისტიანულათ და კაცობრიულათ ასრულებენ თავ-თ-ვის მოვალეობას. ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ბევრი ჰყავს ამისთანა კაცები; ესენი არიან მოკამკამე ვარსკვლავები ხალხის ცხოვრების კამარაზე და ამათი ბრწყინვალებით ნათლდება მთელი ხალხის ცხოვრება.

აქ მე მხედველობაში მყვანან პატიოსანნი მღვდელნი დიღმის სოფლისა, რომელთაც უკისრებიათ დიღომში სახალხო შკოლის გამართვა და თავისი კაცობრიული თანგრძნობით ჰშველიან ხალხის განათლებას. როგორც „დროების“ გაზეთში დაბეჭდილი წერილი ანტონი შვილისა გვიმტკიცებს, ამა პატიოსანი მღვდლების ქველ-მოქმედება სწორეთ სახელი და საქებია.

***

იმათ გაუმართავთ შკოლა დიღომში, საცა აწაწა გლეხის ყმაწვილებთან ოცი წლის ბაბუკებიც (ახალ-გაზდები) სწავლობენ; აქ არ არის არც ყურის წიწკნა, არც დაჩოქება და სხვა დასჯა. მღვდლები მხოლოდ მშვიდობიანს დრიგებას აძლევენ ყმაწვილებს და ესენიც თურმე ამისთანა გონიერი მოქცევით ძალიან ხალისიანათ სწავლობენ წიგნს.

***

ამ საკაცებო შკოლასთან რომ საქალებო შკოლაც გამართულა დიღომში, ეს კიდევ უფრო შესანიშნავია; ჯერ ამისთვის სახლი ვერ უპოვნიათ და ახალგაზდა ქალები თურმე თვითონ მასწავლებელის სახლში დადიან. ეს არის ერთი ხნიერი დედა-კაცი, რომელმაც კარგათ იცის ქართული წიგნი. სწავლის ფასს ახალგაზდა ქალებისაგან არას იღებს იმთან გათხოვებამდის და როცა დაქორწინდებიან, მაშინ ქალის ქმარმა უნდა მისცეს სწავლების ფასი, რომელიც რვა მანეთს არ გადაემეტება. ამაზე გონიერი აზრი აღარ შეიძლება. ღმერთმან ხელი წარუმართოთსთ ამ ქველენის მოკეთეებს!

***

როგორც აქედგან სჩანს სწავლის სურვილი თან-და-თან ძლიერდება ჩვენს ხალხში და ჩნდებიან კიდეც სამაგალითო პირები, რომელნიც შეძლების გვარათ ცდილობენ ხელი შეუწყონ ხალხის განათლებას. მხოლოდ საჭიროა, რომ საკითხავი წიგნები იყოს. არ შემიძლია, რომ არ მივაქციო ჩვენი განათლებული ახალზდობის ყურადღება ამ საგანზე. ის უნდა ეცადოს, რაც შეიძლება იეფი ფასის საკითხავი წიგნები გამოსცეს და ამასთან ითვალის კიდეც, საცა შკოლები იმართება, იქ მიაწვდინოს.

***

ჩვენდა საუბედუროთ აქამომდე ძალიან ცოტაა ხალხის საკითხავათ მოგვარებული წიგნები ქართულს ენაზე და რაც არის, ისიც რომ არ არის გავრცელებული ხალხში, ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა.

***

ჩვენ გვინდა ახლა ისეთი მოთავე კაცები, რომელთაც იკისრონ ამ საქმის კარგათ წაყვანა, უნდა იყოს იმდენი საშუალება, რომ შეიძლებოდეს ერთი ცხენისა და კაცის დაქირავება, რომ მუდამ სოფლებში დაჰქონდეს საკითხავი წიგნები და განსაკუთრებით იქ ყიდდეს, საცა შკოლებია, ან საცა მღვდლები ასწავლიან თითო-ოროლა ყმაწვილსა. ოღონდ გამოჩნდეს ვინმე მოთავე კაცი ამ საქმეში, თორემ ამის ასრულება ადვილი საქმეა. თვითონ წიგნების გაყიდვით შემოსულის ფულიდგან რომ დაინიშნოს ცხენისა და კაცის გასასტუმრებელი ქირა, ისიც საკმო იქნება ხარჯათ.

იმერეთის ავათმყოფობანი.

ყველაზე უფრო საშინელი ავათ-მყოფობა იქ სახადია; სახადს ეძახიან: ყვავილს, ყვანას (მუცელ-კეთილს), საოფლეს (ხურვებას), ხველას, წითელას და ხუნაგს.

ყ ვ ა ვ ი ლ ი იმერეთის ხალხს ჰგონია ქალ-ვაჟი, რომელნიც წითელ-შავში არიან ჩაცმულნი, მშვენიერ ცხენზე ზიან და სოფლათ დადიან. თუ ვინმე გააჯავრა, ისინი მივლენ ძილში იმასთან და ყვავილს შექმნიანო. თუ ვაჟმა შექმნა ყვავილი, ძალიან მოეკიდებაო და კიდეც მოჰკლავსო; თუ ქალმა შექმნა, არა უშავს რა—ცოტათი მოეკიდებაო. იმერლის აზრით ქალი-ყვავილი ძალიან ავგულიაო და ცოტა ეწყინება კაცისგან; ვინც გააჯავრებს, ან არ მოეწონება, მაშინვე ყვავილს შექმნისო.

*
* *

ხალხშია ამბათ დარჩენილი ამნაირი შემთხვევა: ერთხელ ყვავილი გამოეცხადა ძილში სოფლელს და უთხრა, შენს სახლში დგას ცხელი წყალი; გინდა განა გამფუფქო, ყვავილიც დაგმართნიაო“? როდესაც გამოიღვიძა ამ კაცმა, თურმე ძალიან სიცხე ჰქონდა და მესამე დღეს ყვავილი გამოაჩნდა. ეს ამბავი სიცხიანმა უთხრა თავის შინაურებს და მერე ყველამაც დაუჯერა.

ვინც იმერლების ცრუ-მორწმუნეობა იცის, იმას არ გაუკვირდება, რომ შემდეგ ამისა მთელს იმერეთში მართლა სწამდათ, რომ ყვავილი მართლა სულიერიაო და სოფლად დადის; იმ განზრახვით, რომ ვინც არ მოეწონება, ყვავილით ავათ გაჰხადოსო.

*
* *

ახლა ავხსნათ, საიდგან წარმოსდგა ამისთანა ცრუ-მორწმუნება, რომ ავათმყოფობას კაცის სული და ხორცი შეაბეს. მართლა დაესიზმა იმ კაცს იმნაირათ როგორც ზევით ვთქვით და თუ დაესიზმა, რითი უნდა ახსნას კაცმა ეს სიზმარი? სიზმარი მოსდის კაცს მაშინ, როდესაც ტანი ვერ არის სრულებით კარგათ და აღელვებულია; როდესაც ტვინის ძაფები ცოტათ აშლილი აქვს. ეს რასაკვირველია მოხდება ავათმყოფობაში. ვის არ უნახავს იმისთანა ხურვებიანი, რომელსაც არამც თუ ძილში ესიზმება კაცისაგან წარმოუდგენელი ცხოველები და ამბები, როცა მღვიძარია, მაშინაც აფოთარებს ხელებს, უნდა, რაღაც დაიჭიროს, ამბობს: „აჰ, ავერ დაჯდა, იქ წავიდაო“ და სხვ. ტვინის ძაფები, რომელნიც თვალში გადიან ხედვისათვის, ავათმყოფს ისე აშლილი აქვს სიცხისაგან, რომ რაც არ არის, იმას ჰხედავს.

მაშ ცხადია, რომ იმ კაცს წინათვე სდგმია ტანში ყვავილი, რომელსაც დასიზმებია ზემოხსენებული სიზმარი; კაცს სიცხისაგან ტვინის ძაფები აშლია; ალბათ ყვავილიანი უნახავს, რომლისაგანაც გადასდებია ეს ავათმყოფობა, ყვავილის დამართნის შიში ჩავარდნია გულში და როდესაც მართლა სიცხისაგან ტვინის ძაფები აშლია, ამისთანა მდგომარეობაში გულში ნაქონი ეჭვი, იმისთანა სიზმრათ მოჩვენებია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

*
* *

ყვავილიანს ჩვენში არ სწამლობენ. ზოგიერთგან კი არის მაგალითი, როცა ძალიან გაძნელებული აქვს ავათმყოფს ყვავილი, სისხლს გაართმევენ, (გამოუშვებენ) და როგორც ამბობენ ძალიან უხდებაო. უფრო ხშირათ არაფერს არ მიაკარებენ, მხოლოდ დასაამებლათ ავათმყოფთან სდგამენ ყვავილებს, კარგი სუნის ზეთებს, შეღებილ კვერცხებს, სხვა და სხვა გემოიან საჭმელებს და ამასთან კიდეც ულოცავენ, რომელიც რასაკვირველია არას ეხმარება ავათმყოფს, გარდა იმისა, რომ მლოცველი ტყუილა ენას იღალავს. ყვავილიანისე ეშინიათ, რომ ავათმყოფს აღარავინ ეკარება, მხოლოდ საჭმელს მოუმზადებენ ერთ ბაშათ რამდენისამე დღისას, ან ცოტათ გააღებენ კარს და შეუგდებენ ავათმყოფს. ყველაზედ უფრო კარგი წამალი ყვავილისა არის იმის აცრა. კაცმა რომ ყოველი შვიდი წლის განმავლობაში ერთხელ აიცრას ყვავილი, თავის დღეში აღარ შეექნება.

*
* *

მ უ ც ე ლ კ ე თ ი ლ ა (ყ ვ ა ნ ა). როგორც ყვავილისა ამ ავათმყოფობისაც იმდენათ ეშინიათ; ამასაც ისე ერიდებიან, როგორც ყვავილს. თუ მუცელ-კეთილა გაძლიერებულია ქვემო იმერეთში, მაშინ მთებზედაც ჩნდება, თუ არა და მთებში არ სწვდება. ამ ავათმყოფობას არ წამლობენ, მაგრამ მუცელ-კეთილიანს საწყინარს არას მიაკარებენ: უშლიან ტანის გამახურვებელს საჭმელსა, აგრეთვე ღორის ხორცის ჭამას, ყველს და სხვ:, აჭმევენ მხოლოდ შემწვარს ვაშლს და კომშს (ბიას)., უკეთებენ ღომის ონგრას და მოხარშულ წიწილას.

შენიშნულია, რომ მუცელკეთილაში კვდება ას ავათმყოფში ხუთი კაცი, ზოგჯერ როდესაც ძალიან გაძლიერებულა ოცამდისაც ალემატება. ესეც შესანიშნავია, რომ თუ ვინმე წინათ ციებ-ცხელებით ყოფილა შეწუხებული, ყველაზე უფრო იმისთანებს ემართება და ძნელათაც გადაურჩება ხოლმე. ადვილი ასახსნელიც არის, რადგან ციებ-ცხელებიანს კუჭი უმისოთაც ძალიან მოშლილი აქვს და ცოტა ნაწყენითაც რომ გახდეს ავათ, მაშინვე მუცელ-კეთილათ გადაექცევა. ორკვირაზე თუ გადასცილდა ავათმყოფობა, მერე კი იმედი მიეცემათ მორჩენისა.

*
* *

ქუთაისის გუბერნიის ექიმი ამბობს:—ლარიბ სახლში ხშირად მინახავს ხოლმე მუცელ-კეთილათი ავათმყოფი, რომელიც ეგდო ცივს მიწაზე დაფენილს ქვეშაგებში, გვერდით ედგა დოქით წყალი და რომ ძაღლს არ წაელო ზევით ჩამოკიდებული ჰქონდა ავათმყოფს საჭმელი:—თევზი, პური და სხვ. ცრუ-მორწმუნესა და უცოდინარო ხალხს ეს ავათმყოფობაც წარმოუდგენია რაღაც შავ სულიერათ, რომელიც დაბძანდება შავი ცხენით და ვისაც ხელს შეახებს, ის გახდება ავათ მუცელ-კეთილათიო“! შეშინებული უმეცარი კაცის გონების მეტი ვინ წარმოიდგენს რაიმე ბოროტ-სულათ ამ ავათმყოფობას!...

*
* *

სახადი (სნება, ხურვება). როდესაც ავათმყოფს დიდი-სიცხე აქვს და პირველ გახდომაზე, ძალიან აცივნებს ტანში, შემდეგ პირი უშრება და ტუჩები მეტის-მეტი სიცხისაგან კიდეც უსქდება, ავათმყოფი იწყებს ბოდვას, გონება ეკარგება, ენა უხმება, მაშინ დარწმუნდებიან, რომ ის სახადით (სნებით) არის ავათ. ქართლში ხურვებას შავ საოფლესაც ეძახიან. როგორც ჩვენში იტყვიან რომელს ოჯახშიაც ეს ავათმყოფობა გაჩნდება, იქ არავინ არ დარჩება, რომ იმითი ავათ არ გახდესო. ჩვენში მაინც ძალიან ეშინიათ სახადისა და საცა ის გაჩნდება, იმ სოფლიდგან ყველანი დაიხიზნებიან ხოლმე. სახადი ორმოც დღემდის ეკიდება ძალიან ავათმყოფსაო და თუ ორმოც დღეს გადასცილდა, მერე ფიქრი არა აქვსო. წამლობა არა იციან რა არც ამ სახა-

დისა; მაგრამ ავათმყოფს აჭმევენ ბევრს შაქრიან, მჟავე ხილს, წყალი იქვე უდგას და რამდენიც უნდა, იმდენს ასმევენ, ზოგჯერ გამოჰყავთ ავათმყოფი წმინდა ჰაერშიაც; აგრეთვე თავზე და გულზე ადებენ ჭარხლის ფოთლებს;—ესეები ცოტაც არის სიცხეს ანელებს ტანში და უხდება. სახადის წამალი თავი და პირველია რიგიანათ სიცხის გამონელება ტანიდგან. თუ სიცხემ არ გადაამეტა, ფიქრი არ არის. ამიტომაც ამ უკანასკნელს დროს შემოიღეს განათლებულ ქვეყნებში წყლით ექიმობა, ამ საგანზე ჩვენ წარსული წლის „სასოფლო გაზეთში“ ვილაპარაკეთ და იმედი გვაქვს კიდევ დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

* * *

(შემდეგი იქნება).

სამეცნიერო ნაწილი.

მიწის ისტორია ანუ გეოლოგია.

წარმოიდგინეთ ასეთი კვერცხი, რომელსაც თავ-ბოლო ძალიან რგვალი აქვს. ამისთანა კვერცხის მ გავსია დედამიწაცა. როგორც კვერცხი, დედამიწაც იმ ნაირათ არის შემდგარი სხვა და სხვა წყობისაგან, ამ წყობებს დავარქვათ ნაკეცები. კვერცხი, როგორც ვიცით, არის შემდგარი ოთხი წყობისაგან, ანუ ნ ა კ ე ც ი ს ა გ ა ნ გარეთ არტყია მაგარი ნაჭუჭი, იმის შიგნით კანია, კანს შიგნით ცილი და მერე ყვითელი გული.

დედა მიწაც აგრეთვე სხვა-და-სხვა მიწის ნაკეცებისაგან არის შემდგარი. ჯერ ჩვენ ვხედავთ კლდიან მთებს, მას შემდეგ უფრო რბილ მიწას, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრებთ, ამას შიგნითნაკეცებს, რომელნიც ერთიერთმანეთზე არიან შემორტყმულნი მიწის გულამდი; შუა გული კი არის თხელი, როგორც კვერცხისა; მაგრამ, არ გეგონოს ჩემო მკითხველო, რომ ეს თხელი მიწის გული იყოს ისე ცივი, როგორც კვერცხისა; არა, აქ არის საშინელის სიცხისაგან გამდნარი ყოველივე მაგარი ნივთიერება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დედამიწის ზურგზე; აქ ისეთი სიცხეა, რომ კაცისაგან ძნელი წარმოსადგენია. რასაკვირველია, ამ ჩემ სიტყვებზე ზოგიერთ მკითხველთაგანს უთუოთ შემოეპარება თავში ეჭვი და მეტყვის:—განა დედა-მიწის შუა-გული გინახავს რომ ასე დაჯერებით მიმტკიცებ ამასაო?

* * *

ნუ აჩქარდი, ჩემო მკითხველო, დამიგდე ყური. იმ ქვეყნებში, სადაც მადნებს და ღრმა ჭებს სთხრიან, შენიშნულია, რომ რაც უფრო ჩაღრმავებულია ჭა, ან მადნის ძირი, ისე სითბოსაც უფრო ემატება. დიდი გამოძიებით და დაკვირვებით შეიტყეს სწავლულებმა, რომ თუთხმეტ საჟენ სიღრმეზე ერთი გრადუსი სითბო ემატება, ე. ი. ზევით მიწაზე რომ თოთხმეტი გრადუსი სითბო იყოს, თუთხმეტი საჟენი რომ ჩაღრმაო, იქ ერთი გრადუსით მეტი სითბო იქნება. ამ კანონით ჩვენ რომ ჩავიდეთ მიწაში ორი ათას საჟენზე, ან ოთხი ვერსტის სიღრმეში, იქ ტერმომეტრი გვიჩვენებს, ას ოცდა ცამეტ გრადუს ნახევარ სითბოსა. ამისთანა სითბოში წყალი ორთქლად გადაქცეულია და რომელიმე მადნეულიც სიცხისაგან გალხვალია.

მეცნიერების გამოანგარიშებით მიწის სისქე ექვსი ათასი ვერსტია; ახლა შენ იფიქრე მკითხველო, თუ ოთხ ვერსტის სიღრმეში წყალი ორთქლათ გადაქცეულია და რომელიმე მეტალებიც გამდნარია, როგორი სითბო უნდა იყოს ექვს ათას ვერსტის სიღრმეში!?

* * *

აქ, როგორც ხედავ ჩემო მკითხველო, ისეთი სითბოა, რომ წარმოდგენა ძნელია კაცისათვის. ამ სიმხურვალის ძალით არამც თუ გამდნარია ქვა, რკინა, მიწა და სხვა მაგარი ნივთიერება, არამედ წყალივით ორთქლათაც არიან გადაქცეულნი ზოგიერთნი მათგანნი.

* * *

ახლა მოგახსენებთ ისეთს დამამტკიცებელს საბუთებს, რომ მართლაც—დათანახმდებით, რომ დედამიწის შუაგულში მომეტებული სიცხისაგან ყოველივე გამდნარია.

ჩვენს ქვეყნებში ძალიან გახშირებულნი არიან თბილი წყაროები, რომელნიც ბევრს მკითხველთაგანს უნახავს, იქნება ტანიც უბანია ამათში. ასეთი თბილი წყაროები ძალიანი გახშირებულნი არიან დედამიწის ზურგზე და აქვს სხვა-და-სხვა სითბო. მაგალითად ნეაპოლის ახლოს იტალიაში არის ისეთი ცხელი წყარო, რომელსაც შეუძლია ერთის წამის განმავალობაში კვერცხის მოხარშვა.

ეს ერთი მაგალითი საკმაოდ ამტკიცებს, რომ მართლა დედამიწის შუა გულში დიდი სითბო უნდა იყოს, სადაც ასე პატარა სიღრმეში ამისთანა ცხელი წყაროები არიან, მაგრამ მკითხველი რომ მაინც ეჭვში არ დარჩეს, მოვიყვან კიდევ ერთს ბუნებითი მოვლენას, რომელიც უფრო საფუძვლიანათ ამტკიცებს ამ ჩემს სიტყვებს.

* * *

არიან ისეთი მთები, რომელნიც ხან-და-ხან მიწის ძვრის შემდეგ, ამოისვრიან ხოლმე გალხვალს ნივთიერებას, ამისთანა მთებს ეწოდება ვოლკანები.

ეს უკანასკნელი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ დედა-მიწის შუა გული მართლა გამდნარია საშინელი სიცხისაგან, როგორც ვსთქვით ზემოთ.

ახლა ჩვენ რომ დავაკვირდეთ დედამიწის ზურგზე კლდეებს, მადნეულს და სხვა და სხვა მიწის ნაკეცებს, შევატყობთ, რომ ესენი ყოფილან როდესმე გამდნარნი და ბოლოს გაცივებულან. *)

ამ ზემო მოყვანილ საბუთებიდგან მკითხველის თანა შემწეობით შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ყოფილა ისეთი დრო, როდესაც დედა-მიწა სულ ერთიანათ გალხვალი ყოფილა, როგორც ამ ჟამად იმისი შუა გულია.

* * *

ამ დროს წყლები, ე. ი. ოკეანები, ზღვები და რასაკვირველია მდინარეებიცა იყვნენ ორთქლად გადაქცეულნი, აგრეთვე ზოგიერთი მადნეულიც და ერტყა საშინელი ბნელი ნისლი დედა-მიწას თავზე, რომელიც თახთახებდა ამ საშინელ სიბნელეში.

მაგრამ ეს ჩემი ზემო სიტყვები ვიცი, რომ მკითხველის თავში დაბადებენ ორ ნაირ კითხვებს: თუ მართლა ამ მდგომარეობაში იყო მიწა, როგორც თქვენ ამბობთ, როგორ გაცივდა ასე, როგორც ახლაა? და რამდენი ხანი მოუნდა ამის გაცივებას?

ეს კითხვები სწორეთ კანონიერნი არიან შენის მხრით, ჩემო მკითხველო, და კიდევაც მოგახსენებ პასუხს ამ თქვენს კითხვებზე.

* * *

მიწის გაცივების მიზეზები იყვნენ მრავალნი. მაგრამ თავი რომ არ მოგაწყინოთ მე მოვიყვან აქ მხოლოდ ორს მათგანს, რომელ-

---

*) სითბოს მზომავი ან ტერმომეტრი ბევრჯელ იყო აწერილი „სასოფლო გაზეთში“,

**) თფილისის ტროტუარები სულ ამისთანა ქვებით არის მოკირწყლული; ამ ქვას აქ ალგეთის ქვა ჰქვია რადგან ალგეთის მდინარის პირზე სკრიან მას.

ნიც იყვნენ უპირველესი მიზეზები მიწის გაცივებისა.

რადგანაც დედა-მიწას ჰქონდა ასეთი საშინელი სითბო, როგორც ვნახეთ, გ საკვირველი არ არის, რომ ის ახურებდა იმ ჰაერს, რომელიც გარს ეხვია. მაშასადამე დედა-მიწა ჰკარგავდა რამოდენსამე ნაწილს თავის სითბოსას და აძლევდა ჰაერს.

ეს გახურებული ჰაერი, რადგანაც იყო უფრო მჩატე ცივ ჰაერზე, გასწევდა მაღლა და ამის ადგილს იჭერდა ცივი ჰაერი — რომელიც თავის მხრით ართმევდა მიწას სითბოს და მიდიოდა ზეცას. ამისთანა მღელვარებაში იყო ჰაერი რამდენსამე ათას საუკუნეს, რომლის განმავლობაში დედა-მიწის ზურგი გაცივდა იმ ზომაზე, რომ მას მოერტყა თავზე თხელი ქერქი, როგორც მოერტყმება ხოლმე ცხელს რძესა გაცივების შემდეგ.

*
* *

მეორე მიზეზი მიწის გაცივებისა იყო წყალი. აი როგორ.

ყველამ ვიცით, რომ ჰაერი უფრო ცივია ამაღლებულ ადგილზე, ვიდრე ვაკეზე, დიდ მაღალ მთებზე, ვიდრე უბრალო გორაზე; აქედგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ჰაერი უფრო და უფრო ცივია, რამოდენსაც ზევით ავიწევთ.

მართლაც სწავლულებმა გამოიანგარიშეს და ნახეს, რომ რამოდენიმე ვერსტის სიმაღლეში ორთქლი წყლად იქცევა სიცივისაგან.

ახლა წარმოიდგინეთ ის ორთქლად გადაქცეული ოკეანები და ზღვები, რომელთაც გასწიეს საშინელ სიმაღლეში; აქ ეს ორთქლი იქცა სიცივისაგან უცბად წყლად და ერთბაშად ჩამოსცვინდა წვიმათ მიწაზე. მაგრამ რადგანაც მიწის თხელი ტყავი იყო კიდევ ძალიანი გახურებული, ამისა გამო ეს ჩამოცვინული წყალი გაორთქლდა ისევ და გასწია ზეცას, სადაც მეორეთ იქცა სიცივისაგან წყლად და ჩამოვარდა მიწაზე.

ცხადია, რომ ჩამოვარდნილი წყალი ართმევდა სითბოს მიწას ყოველ ახალ ჩამოვარდნაზე.

ამ ნაირ ბრძოლაში იყვნენ ეს ორი სტიქიონები მანამდის, სანამ მიწა არ გაცივდა იმ ზომამდე, რომ მაზე შეეძლო წყალს დგომა.

*
* *

ამრიგათ წყალმა მოიცვა მთელი დედა-მიწის ზურგი ნაცვლად გაავარვარებულ ცეცხლისა.

მაგრამ ეს პირველად ჩამოვარდნილი წყალი, რომელმაც მოჰფარა დედამიწა ტრიალებდა ისე, როგორც ქვაბში ადუღებული წყალი, რადგანაც დედა-მიწის ზურგი იყო კიდევ ძალიან ცხელი.

ასეთს დუღილსა და ტრიალში იყო პირველად ჩამოვარდნილი წყალი რამოდენიმე ათასი საუკუნების განმავლობაში.

შემდეგ, როცა მიწამ დაიწყო ნელ-ნელა გაცივება, წყალიც დაწყნარდებოდა ნელნელათ და ბოლოს ის მოემზადა მცენარეების სხვა და სხვა გვარი ხის და ბალახეულობის გასაზდელათ, აგრეთვე რომელიმე ცხოველების საცხოვრებლად.

როცა ოკეანე დაწყნარდა დუღილისაგან, მაშინ დაეფინა ძირს ქვიშა, რომელიც ტრიალებდა დუღილის დროს. ეს პირველ ჩამომჯდარი ქვიშაა პირველი და ყველაზე უძველესი მიწის წყობა წყლის მეფობის ჟამიდგან.

ამ წყლის მეფობის დროს იყვნენ ძალიან გაჩშირებულნი ვოლკანები, რომელთაც ამოსწიეს აქა-იქა დაბალი კუნძულები ოკეანზე.

*
* *

მეორე კითხვაზე მოგახსენებ ერთს მაგალითს, ჩემო მკითხველო, რომლისაგანაც ნათლად დაინახავ, რამოდენი დროც მოუნდებოდა მიწას ამ ზომამდე გაცივებას, როგორც ახლა.

ას თერთმეტი წელია მას აქეთ, რაც მექსიკაში (ამერიკაში) მოხდა სამოცი დღის განმავლობაში საშინელი მიწის ძვრა, შემდეგ მიწის ძვრისა ერთს მინდორში ამოიხეთქა ორთქლმა, და იმ ადგილმა, საცა გამოჩნდა ორთქლი, დაიწყო ამოწევა, ბოლოს გაკეთდა კარგი მაღალი გორაკი; ამ გორაკის კუნჭულიდამ ამოვიდა ჯერ კომლი, მერე ქვები ამოცვინდნენ და ბოლოს ამოდუღდა გალხვალი მიწა; ამ ცხელმა მდინარემ მოიცვა რამოდენიმე საჟენი ადგილი ამ გორაკის მახლობლად.

ოთხმოც და შვიდი წლის განმავლობაში ეს ნაკადული კიდევ იმდენათ ცხელი იყო, რომ კაცი იმის ნახეთქებში ციგარას მოუკიდებდა.

აქედგან მკითხველს შეუძლია ადვილად წარმოიდგინოს, რამოდენი ხანიც მოუნდებოდა მიწის გაცივებას, რომლის სისქე ექვსი ათასი ვერსტია, თუ რომ რამდენიმე მტკაველი სისქის გაცივებას მოუნდა ოთხმოცდა შვიდ წელიწადი წვიმის და თოვლის ქვეშ.

ამასთანავე გეტყვი, რომ მიწის გაცივებას, სწავლულების გამოანგარიშებით, მოუნდა ა... ოცდა ცამეტ მილიონ წელზე მეტი.

ამ მოკლე მოთხრობიდგან ხედავს მკითხველი, რომ მიწას აქვს თავისი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს ჩვენ როგორ ნელ-ნელ... კეთდებოდა დედა-მიწა მილიონ საუკუნების განმავლობაში. ახლა ვნახოთ აქვს თუ არ... ასეთი ისტორია იმ არსებებს, რომელნიც ცხოვრებენ დედა-მიწის ზურგზე. *)

(შემდეგი იქნება).

სამეურნეო ცნობანი.

სამხრეთი რუსეთის სამეურ... ნეო საზოგადოება ცდილობს, დაწე... სდეს ისეთი კანონი, რომ ყოველმა მებატო... ნემ ერთ ნაწილ თავის მიწაზე უეჭველათ ტყ... გააშენოს. ამისთვის უნდა შესდგეს მცოდნ... კაცებისაგან კამისია, რომ ამან განიხილოსენ... რომელ გუბერნიაში რა ზომის მიწაზე შეიძლება ტყის გაშენება, რომ ჰავას ამითი არა-ცხ... ევნოს რაო. თემებს და სამეურნეო საზოგადოებათა უნდა მიეცესთ უფლება, რომ ამათ, წარადგინონ ჯილდოზე რომელთაც უფრო... ბევრი ტყე გაუშენებიათ რომელსამე გუბერნიაში, რადგან ტყის გაშენება სახელმწიფოსკე... შესაძინებელი საქმეა. ამას გარდა მთავრობამ... სახელმწიფო ადგილები უნდა მოიხმაროს სა... ზოგადოების სასარგებლოთ ესე იგი უნდა გა... აშენოს ტყე ამ ადგილებზეო.

*
* *

ღონისძიება, რომლითაც შეიძლება გავრცელდეს და გაუკეთესდეს ბამბის მოყვანა კავკასიაში... (ბირჟის უწყებანი № 340.)

ბამბის მოყვანა ისეთი კარგი სასარგებლო... საქმეა, რომ მეტი არ შეიძლება. ამის გასავრცელებლათ და იმის კეთების გაუმჯობესობისათვის შემდეგი ღონის-ძიებაა საჭირო:

1) ბამბის მოყვანისათვის რამდენიმე წლის განმავლობაში არ უნდა გადახდესთ მიწის ქირა.

2). უნდა დაენიშნოს ჯილდო საუკეთესო... ბამბის მომყვანელს კავკასიაში.

3) ტფილისში უნდა გაიმართოს ყოველ-

*) რომელნიც ცხოვრებენ დედა-მიწის ზურგზე, ისინი რასაკვირველია არიან ცხოველები და მცენარები.

ლლობით მთელს ქაკასიაში და საშუალო
ზიაში რაც ბამბა მოდის, იმათი ნიმუშების
ასამოფენა ერთმანეთთან შესადარებლათ.

4) უნდა დანიშნოს, ფული ბამბის თეს-
ლისა და თესლის გამოსარჩევ მაშინების და-
ბარებლათ ყოველ-წლობით საზღვარ გა-
ეთიდგან.

5) განსაკუთრებული თანი უნდა შესდგეს,
რომ იქიდგან შეეძლოსთ ფულის სესხება იმა
ერებსა, რომელნიც ბამბას აკეთებენ.

6) უნდა გაგზავნონ საზღვარს გარეთ რა-
დენიმე ახალგაზდა კაცები უკეთესს ბამბის
ელობის სასწავლებლათ; იქიდგანვე უნდა
აიბარონ რამდენიმე პირი, რომელნიც ძა-
ლიან დახელოვნებულნი არიან ბამბის კეთე-
ბაში.

* * *

ყ ო ვ ე ლ ი ა მ ღ ო ნ ი ს-ძ ი ე ბ ა თ ა ნ ი
ბ ა ლ კ-ბ ა ლ კ ე გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ:

1) ბამბის მკეთებლები ათი წლით მაინც
ისენდა განთავისუფლდენ მიწის ქირისაგან. ეს
ღონის-ძიება ძალიან წაახალისებდა ქაკასიის
ბაცხოვრებლებს და მრავალნი სიხარულით და-
ბადუყებდენ ბამბის კეთებას სახელმწიფო მიწებ-
�თე, რადგან დარწმუნებულნი იქნებოდნენ,
რომ მიწის ქირას არ გადახდეენებენ.

2) ყოველ-წლობით ჯილდოს მიცემა სა-
ბუკეთესო ბამბის მომყანთათვის ქაკასიაში
ბამაქეზებდა ადგილის მცხოვრებთა კარგი ბამ-
ბის გაშენებაზე თავთავის ადგილებში, და ახლა
კარომ ამერიკისა და მისირის ბამბას ეყიდუ-
ლობთ, მაშინ ალარ დაგეჭირდებოდა.

ამის მაგალითს გვიჩვენებს ფრანცია, საცა
მთავრობა ყოველ წლობით აძლევს ოცი ათასს
ფრანკამდე ჯილდოს საუკეთესო ბამბისათვის,
რომელიც ალჟირშია მოსული. და ამას, რო-
გორც ამბობენ, დიდს წარმატებაში შეჰყავს
ბამბის კეთება. ქაკასიაში ერთი დიდი ჯი-
ლდოს მაგიერათ უმჯობესი იქნებოდა რამ-
დენიმე პატარა ჯილდოები ყოფილიყო და-
წესებული, მაგალითად ორი ათასი მანე-
თი, ათასი, ხუთასი სამასი და ორ-
სი. ეს კიდევ უფრო წაახალისებდა მცხოვ-
რებლებს ბამბის კეთებაზე, რადგან ერთბაშათ
რამდენიმე კაცი მიიღებდა ხოლმე ჯილდოსა.

* * *

ქაკასიის ბამბის ნიმუშების ყოველწლო-
ბით, გამოფენა თფილისში დიდი სასარგებლო
იქნებოდა იმითი, რომ მთავრობას და საზო-
გადოებას შეეძლებოდა თვალი ედევნა ბამ-
ბის კეთების წარმატებაზე და ამ ღონის-ძიე-
ბით რუსეთის ეაჭრები პირდაპირ დაიწყებდენ
ადგილის მცხოვრებთან ბამბის ყიდვასა და
სხვა-და-სხვა ეაჭრული პირობებითაც შეეკვრე-
ბოდნენ ხოლმე. ამას გარდა ამ გამოფენაზე
საუკეთესო მცოდნე უცხო ქვეყნის კაცები
და ადგილის კაცები უკეთესათ გამოარჩევდენ
რომელი ბამბის ნიმუშის პატრონი უფრო
ღირსი იქნებოდა ჯილდოსი.

* * *

ალკე ფულის დანიშვნა იმ პირების სასე-
სხებლათ, რომელთაც ღონის-ძიება არა აქვთ,
მაგრამ კარგი მშრომელნი არიან, ძალიან გა-
ავრცელებდა ქაკასიაში ბამბის კეთებას. ამა-
სთანავე სესხი უნდა მიეცესთ ან მიწის გირა-
ოში, ან მოსავლის გირაოში ცოტა-ხნის ვა-
დით.

* * *

ფულის დანიშვნა საზღვარგარეთიდგან ბამ-
ბის თესლისა და თესლის სარჩევ მაშინების
დასაბარებლათ აი, რა სარგებლობას მოიტან-
და: ახლანდელი ცუდი გვარის ბამბის მაგიე-
რათ ქაკასიაში გავრცელდებოდა საუკეთესო
გვარის და როგორც ეგვიპტეში კარგი თე-
სლის მოტანით და დათესით მშვენიერი გძელ
ფთილიანი ბამბა გაჩნდა, ისე ჩვენშიაც გაუმ-
ჯობესდებოდა. თესლის მოტანას უცხო-ქვე-
ყნიდგან მანამდის არ უნდა დაეხსნენ, სანამ-
დის არ გაჩნდება ადგილობრივი კარგი გვა-
რი ბამბისა, რომელიც ამერიკელზე უარესი
არ იყოს. აგრეთვე თესლის სარჩევი მაშინე-
ბი საქაჩაევები (პრესსები) უნდა დაიბარონ,
რომ მიჰყიდონ ადგილის ბამბის მკეთებლებს;
შემდეგ როცა ბამბის მუშაობა ძალიან გავრ-
ცელდება და დიდი მოთხოვნილება იქნება
ამა მაშინებზე, უეჭველია მაშინ ჩვენშიაც
დაიწყებენ იმათ კეთებას და ყოველს ბამბის
მკეთებელ მეოჯახესაც შეეძლება იაფ ფასათ
ყიდვა ამა მაშინებისა.

* * *

ახალგაზდა ყმაწვილების გაგზავნა საზღვარს
გარეთ და იქიდგან დაბარება ბამბის ხელობის
მცოდნე კაცებისა იმითი იქნებოდა კარგი,
რომ ისინი შემოიღებდენ ჩვენს ქვეყანაში
საუკეთესო ბამბის კეთებას და მოყვანის შემ-
დეგ იმის წმინდათ გარჩევას, საქაჩაევთ ნაკეცნ-
აკეცათ მომზადებას გასასყიდათ. ეს ღონის-
ძიება მით უფრო საჭიროა, რომ ამ ჟამათ
ჩვენში არ იციან კარგი ბამბის ხელობა და
ამისთანა მდგომარეობაში რომ ყიდეს, მოხა-
ტანონ ხოლმე უცხო-ქვეყნის თესლი, კარგი
კეთების უცოდინარობით მაინც მალე გადა-
გვარდება; როდესაც ბამბის ხელობის მცო-
დნენი გაჩნდებიან, მაშინ არამც თუ კარგი
გვარის თესლი არ გადაგვარდება, ადგილის
ბამბაც გაკეთდება. ჯერჯერობით საკმაო იქ-
ნებოდა, რომ ალჟირს და განსაკუთრებით
ეგვიპტეს გაეგზავნათ რამდენიმე ახალგაზდა
კაცი; შემდეგ კი ამერიკაშიაც შეიძლებოდა
წასულიყვნენ და იქ ესწავლათ კეთება. ნუ
დაეიეწყებთ, რომ ბამბის ეაჭრობით მიეცა
შეეროებულ შტატებს თავი-საფუძველი სიმ-
დიდრისა და გაძლიერებისა.

* * *

ქაკასიის მხარეში უნდა დაწესდეს პირველ
შემთხვევაში ერთი დიდი ბამბის საყანე, რო-
მელიც უნდა მიენდოსთ უცხო-ქვეყნიდგან
დაბარებულ გამოცდილ კაცებს ბამბის კეთე-
ბაში. ესენი გამოსცდიდნენ უცხო-ქვეყნიდგან
მოტანილს ბამბის თესლებს და ადგილის ბამ-
ბასაც; დაუწყებდენ იმა მრავალ გვარს მუშა-
ობას და ამ სახით შეიტყობდენ, რომელი გვა-
რის ბამბა უფრო გამოდგება ჩვენს ქვეყანაში,
ან რა ნაირი კეთება უფრო მოხერხებული
და ბამბის გვარის გამაუმჯობესებული იქნე-
ბა ჩვენი ქვეყნისათვის: ამას გარდა ამავე ყა-
ნაში მუშაობით გამოიზდებოდნენ დახელო-
ვნებულნი ბამბის მკეთებლები და გაავრცე-
ლებდენ თავის ქვეყანაში ამა ხალხის გამამ-
დიდრებელ ხელობას.

* * *

აი, მოკლეთ ის ღონის-ძიებანი, რომლე-
ბითაც შეიძლებოდა გაძლიერებულიყო ბამ-
ბის ხელობა ქაკასიაში. აქ საჭირო არარის იმის
ლაპარაკი, თუ რამდენს სარგებლობას ჰნახავ-
და მხარე იმითი; მხოლოდ საჭიროთა ერაცხთ
ერთი მაგალითი ეუჩვენოთ მკეთხველებს. ამ
ორმოცდა ათი წლის წინათ ეგვიპტეში სრუ-
ლებით არ იცოდნენ ბამბის მოყვანა. მახმედ-
ალის და იმის მემკვიდრეებს უნდა უმადლო-
დნენ ეგვიპტელები, თუ ახლა ასე გაძლიერე-
ბულია იქ ბამბის კეთება, რომელიც აძლევს
მცხოვრებლებს აუარებელ სიმდიდრეს.

ხუთის წლის წინათ გამოიანგარიშეს და
შეიტყეს, რომ ერი წლის განმავლობაში ეგვი-
პტიდგან მარტო ერთს ინგლიაში ხუთ-ნახე-
ვარი მილიონი ფუთი ბამბა გაუტანიათ გასა-
სყიდათ.

მმართებლობის განკარგულება.

ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

29 დეკემბერს 1869 წელსა. თფილისს.

მისის იმპერატორებითის შუამდგომლობით ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ქვემო ხსენებულთა პირთა ერდგულის სამსახურისათვის შემდეგი ჯილდონი:

წმინდა სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა: შორაპნის უეზდის ნაჩალნიკს ეფიმოვსკის, ზუგდიდს უეზდის ნაჩალნიკს გერარდის, უფროსს საქმის მწარმოებელს გუბერნიის სამმართველოსა, აბულაძეს. წმინდა ანნის ორდენი მესამე ხარისხისა: ქუთაისის გუბერნიის ექიმს კლემენტოვს, წმინდა სტანისლავის ორდენი მესამე ხარისხისა: ქუთაისის ქალაქის პოლიციის პრისტავის თანაშემწეს ლოლობერიძეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სეკრეტრის თანაშემწეს ჩარკვიანს ქუთაისის უეზდის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს მჯუბოვს წმინდა სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა ოლქის სასამართლოს წევრს სლინკოს, წმინდა ანნა მესამე ხარისხისა: რაჭის უეზდის მომრიგებელ მოსამართლეს უიფიანს.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულება.

უუ. უეზდის ნაჩალნიკებს და ქუთაისის გუბერნიის განკერძოებულს პოლიციებს. 31. დეკემბერს 1869 წელს.

განვიხილავ რა ჩემ ხელქვეევითი თანამდებობის პირთა სამსახურსა წარსულს წელს მე კმაყოფილებით ვნიშნავ, რომ უუ. უეზდის ნაჩალნიკები გარდა ზოგიერთ შემთხვევისა, რომელშიაც სამოსამართლო უწყებასა და გასამგებო უწყებათა გაუგებრობით ერთმანეთთან უკმაყოფილო მიწერმოწერა ჰქონიათ, რიგიანათ ასრულებდენ თავის კუთვნილს მოვალეობას და ამ ჟამათ თანხმობით მოქმედება სამოსამართლო და გასამგებო უწყებათა შორის თითქმის გაიმართა საბოლოვოთ და ეს მეტი არ შეიძლება ისე სასურველია. მაგრამ ზოგიერთ კერძო შემთხვევისაგან მე ვხედავ, რომ ჩემ ხელქვევით მყოფნი თანამდებობის პირნი გასამგებო ნაწილისა ამართლებენ თავის შეცდომილებას ანუ უყურადღებობას იმა საქმეში, რომელიც სამოსამართლოს უწყების საწარმოებელია, მითი, ვითომც მრუდათ წარემართოსთ იგი სამოსამართლო. თბნამდებობის პირებს.

ამისთანა შემცდარი აზრი საზოგადოთ არ არის მოსათმენი განსაკუთრებით ახლანდელს დროში, როდესაც არამც თუ კანონით, არამედ ორი წლის არსებობით ამა მხარეში სრულიათ განისაზღვრა მოვალეობა და ურთიერთ შორის დამოკიდებულება სამოსამართლო და გასამგებო უწყებათა. ამისთვის საჭიროთა ვრაცხ ვურჩიო უუ. უეზდის ნაჩალნიკებს და იმათ ხელქვეითს თანამდებობის პირებს მიიღონ ამნაირი აზრი:—რამდენათაც გულჩჩვილად მოექცევა სამოსამართლო უფლება დამნაშავეთა, იმდენათ უფრო უნდა მღვიძარებდეს პოლიცია, რომლის მოვალეობაა დანაშაულობის წინდაწინ გაგება და მოსპობა.

ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს მიწერილობა.

23 დეკემბერს 1869 წელს.

რუსეთის თერთმეტი გუბერნიის სამმართველოთაგან მოწერილობის გამო ქუთაისის გუეერნიის სამმართველო მიუწერს—ყველა თავის ხელქვეითს გასამგებოებს და პირებს, რომ ყველა ქვემოხსენებულ გუბერნიების მცხოვრებნი, რომელნიცა სახელმწიფო ხარჯს იძლევიან, თუ სადმე იყონ უპასპორტონი, ან პასპორტიანები მაგრამ ვადა თუ გასვლიათ და ან არ გასვლიათ, მაგრამ რომელთაც შიგ უწერიათ, რომ რეკრუტებს აძლევენ, ისინი დაუყოვნებლათ უნდა გაგზავნონ კუთვნილ საქალაქო გასამგებოში და პოლიციის სამმართველოში.

ზემოთ მოხსენებულნი გუბერნიანი არიან ესენი: ვლადიმირისა, აშტრახნისა, ეკატერინო-სლავისა, პენზენისა, რიაზანისა, მინსკისა. ხარკოვისა, ვოლოგოდისა, სამარისა, პოდოლიისა და კოსტრომისა.

* *
*

23 დეკემბერს 1869 წელს.

ბესარაბიის სამაზრო გასამგებო - მოწერილობის ძალით წარსულს 26 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის სამმართველო მიუწერს ყველა თავის ხელქვეითს გასამგებოებს და პირებ რომ განკარგულება მიიღონ პოვნისათვი უნტერ-აფიცრის ალექსანდრე შუკოვის ცოლისა, სახელად თათიანე გრიგოლის ასულის გვარათ ჩუხრინისა და მოძებნის შემდეგ აცნობონ გუბერნიის სამმართველოს ეს ამბავ

*
* *

29 დეკემბერს 1869 წელს

ხელმწიფის კარზე მდგომარე იტალიი ელჩმა სთხოვა შინა საქმეთა მინისტრს, რომ მან მოახდინოს განკარგულება შესატყობა თუ სად იმყოფება ამ ჟამად ნუხელი ვაჭარ აბდულ—რახიმი—აბდულ—აზიზი, რომელი პირობით შეჰკვრია ზოგიერთ იტალიელ ქვ შევრდომებს.

ამ საქმის შესახებ კავკასიის ნამესტნიკ უმთავრესის სამმართველოსაგან მოწერილო ბის ძალით გუბერნიის სამმართველო მიუწერ ყველა თავის მორჩილთა გასამგებოთ და პ რთა რომ შეიტყონ თუ სადმე იმყოფე ქუთაისის გუბერნიაში ზემოხსენებული ვაჭ რი და ყოველივე აცნობონ. სამმართველო

*
* *

29 დეკემბერს, 1869 წელს.

თფილისში მოსული ჩრდილოეთის გერ ნიის ელჩი თავის მთამრობის მინდობილობ ითხოვს, რომ მოსძებნონ პრუსიის ქვე ვრდომი ლუდვიგი ტუნაკი, რომელიც ამ ხ თის წლის წინათ სხვა კოლონისტებთან ის წამოვიდა პეტერბურღიდან კავკასიაში აქამდინ სად არის და სად არა—იმისმა მთ რობამ არ იცის.

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამმ თველოს მოწერილობის ძალით ამ საქმე ქუთაისის გუბერნიის სამმართველო მიუწ ყველა თავის მორჩილს გასამგებოებს და რებს, რომ მოსძებნონ ზემოხსენებული ტ ნაკი და ყოველივე აცნობონ გუბერნიის სამ რთველოსა

*
* *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го января 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელ